

;

დამტკიცებულია

კოლეჯის დირექტორის

ბრძანებით N1/17 28.06.2019 წ.

სსიპ - ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

წინამდებარე წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25ე მუხლის მე-5 პუნქტის და 331 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად და განსაზღვრავს სსიპ - სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა, ასევე კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგიას, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკას, ადამიანურ რესურსს, კოლეჯის მატერიალური რესურსის რაოდენობას და მის სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.სსიპ -ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის უზუფრუქტით სარგებლობაში აქვს შესაბამისი შენობა-ნაგებობა. დაწესებულებას აქვს საერთო, კონკრეტულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.

2.კოლეჯში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო - A, B და C. დასაშვებია ერთ სივრცეში ორი ან მეტი ტიპის სასწავლო გარემოს კომბინირებული მოდელის შექმნა. მაგალითად, ერთ სივრცეში A და C; B და C ან A, B და C გარემოს კომბინირება. კოლეჯის პროფილისა და პროფესიული პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, სამივე ტიპის სასწავლო გარემოში დგას ფორტეპიანო(A და B გარემოში როიალი ან პიანინო, ხოლო C გარემოში- როიალი საკონცერტო შესრულებისათვის).

ა) A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, ინდივიდუალური (ინდივიდუალური მეცადინეობა მოიცავს მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ერთობლივ მუშაობას) და ჯგუფური თეორიული მეცადინეობისათვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. ძირითადად, აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და, საჭიროების შემთხვევაში, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი). შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება სწავლების შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად.

ბ) B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემებისა და

რაოდენობის კომპიუტერით (1 პროფესიულ სტუდენტზე 1 კომპიუტერი/ნოუთბუქი), მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, ქსელური პრინტერთა და დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი). B გარემოში შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება.

გ) C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობაში ან გარე სივრცე სპეციალობის დემონსტრირებისა და პრაქტიკისათვის აუცილებელი ძირითადი ტექნიკითა და ინვენტარით.

3. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აღჭურვილობის ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების/სასწავლო კურსების შესაბამისად.

მუხლი 2. კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა

2.1 კოლეჯის კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ორ ცვლაში);

ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ორ ცვლაში);

გ) C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ორ ცვლაში), ან სასწავლო გარემოს ფართი, ან პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებასთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე ობიექტის შემთხვევაში - ადგილების ჯამი ;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;

ე) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;

ვ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა (20 პროფესიულ სტუდენტზე კოლეჯს ჰყავს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი).

2.2 დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.

2.3 მოდულში შესაძლებელია იყოს ორი ან სამი გარემო ერთად, ამ შემთხვევაში მიეთითება შესაბამისი აღნიშვნა (A და C; ან B და C; ან A, B და C).

2.4 შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა (პროფესიული სტანდარტის მოთხოვნის გათვალისწინებით) განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული;

2.5 სავალდებულო პროფესიული მოდულები, რომლებიც ითვალისწინებს ინდივიდუალურ სწავლებას, შესაძლოა განხორციელდეს პროფესიული განათლების რამდენიმე მასწავლებლის მიერ;

2.6 მოდულის განხორციელებისათვის საჭირო საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი საკმარისი უნდა იყოს ობიექტზე გასანაწილებული პროფესიული სტუდენტებისათვის;

2.7 ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 3. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის გაანგარიშება

3.1 კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის გაანგარიშება ხდება კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დადგენილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ჯამით.

3.2 ამ წესით დადგენილი მეთოდოლოგიით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულება, ასახავს შესაბამის განაცხადში და წარუდგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დასამტკიცებლად.